სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEPL - IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

№1350/01-02-05-50 04.08.2014

ინდ.მეწარმე „გიორგი კანდელაკი-ვესტა"-ს დირექტორს

ბატონ გიორგი კანდელაკს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ინდ.მეწარმე „გიორგი კანდელაკი-ვესტა"-ს შორის, 2014 წლის 04 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №395/06 (კონსოლიდირებული ტენდერი №CON140000023) ხელშეკრულების პირობების საფუძველზე, შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში. თქვენს მიერ 208.80 (ორასრვა და 80) ლარის ღირებულების შესყიდვის ობიექტის მოწოდება განხორციელდა ამა წლის 23 ივლისს. მოწოდების ვადების დარღვევისათვის, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 4.1 პუნქტის თანახმად, დაგეკისრათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0.1%-ის ოდენობით (იხ. თსუ-ს ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა №288 28.07.2014წ.), რომელმაც ჯამში (33 ვადაგადაცილებულ დღეზე) შეადგინა 6.89 (ექვსი ლარი და 89 თეთრი) ლარი.

გთხოვთ, დაკისრებული პირგასამტეხლო გადაიხადოთ არაუგვიანეს 15 დღის განმავლობაში შემდეგ ანგარიშზე: სს ბანკი „რესპუბლიკა", ბანკის კოდი 220101757, ანგარიშის №GE22BR0000000000345634, საიდენტიფიკაციო კოდი 204864548.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დ.ჩომახიძე

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge

ტელეფონი: +995 32 222 02 41 T
ფაქსი: +995 32 222 51 07 F
ელ-ფოსტა: rector@tsu.ge E-m
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge E-m